



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 10

მ ა რ ტ ი, 3 1896 წ.

№ 10

**შინაარსი:** შარლოტა კორდე—ღისა.—კიდევ ორიოდ სი ტყევა ქალთა მომავალ სკოლის შესახებ.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—ნუ ტირი ჩონთო, ლექსი კორტონასი.—ყოვლად სამღვდლო გაბრიელ ეპისკოპოსის ტახტის წესრიგი.—პასუხის პასუხი, აკაკისა.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება, ნ. უორდანიასი.—მეტი ღონე არ არის (ეტოუდი), ანანტ. ერისთავისა.—მგზავრის შენიშვნები (გაგრძელება), სომელიისა.—ტირაჟი.—

## შარლოტა კორდე.

(1768—1793)

**შ**ინტ ცოტათ მინტ იცის საფრანკეთის დიდი რევოლუციის ისტორია, იმას, უეჭველია, გონილი ექნება შარლოტა კორდეს სასულიერო, სასულიერო იმ სასლაზად ქალისა, რომელმაც მოჭკლა ერთი უშირველესი რევოლუციის მოღვაწეთაგანი, მარტი. ამ საოცარ მორეკში, რომელსაც რევოლუციას უწოდებენ, საშინელი არე-დარევით მოქმედებდნენ და იბრძოდნენ სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი და პირადი ძლენი; უკიდურესი პატივმოყვარეობა და კლდესავით გაუტეხარი ეგოიზმი ზედ სკდებოდა ფანტოქოსობადე მიღწეულ გულწრფელ თავგანწირულებას. გუშინ სრულიად უცნობი, დღეს გმირობას იხენს და გმირის სასულიერო იმოსება; სულ კი ეს გმირი, ეს გერბი საღისისა, ბრბოსაგან გამეფებული, მისგანვე მიქსთან გასწორებული და უარყოფილი, ფერ მისდელი მწროლით მიდის ეპაფოტზე დათან მისდევს ცინიკური საჩხარით უფობი ბრბო. ამ გმინობათა აზვირთუებულმა ზღვამ ბეერი სასულიერო უკვდავი, ბეერი ღირსეული, მაგრამ ბეერი



შარლოტა კორდე.



უღიარებენ ჩაწერას ისტორიაში. ბევრი უბრალო შეიწინააღმინის უგუნურებამ, ბევრი უდანაშაულო იმსვენებლად გამძვინვარებულმა სწრაფად, რომლის ბელადნი იყოლებულინი იყვნენ მისი ძლიერებისთვის შეფარებიათ თავი, თუ გი ლელს გატანა უნდოდით, მიუსუდავით იმი-სა, პირადი აზრებმა ამოქმედებდა მათ, თუ საზოგადო ინტერესი. დიდებულმა დეეზმა რევოლუციონისმ წუთიერი გამძვინვარებისთვის გილიოტინა შექმნა მსოფლიო მისთვის, რომ იმავე გილიოტინის ცუდქვეშ მოხრილათ დაელოა სული.

შარლოტა გორდემ მართლად მოჭკლას მარტი, ეს „საღისის მეგობარი“, როგორც მას უწოდებდნენ, მკვრამ მოჭკლას მიტომ, რომ უნდოდა უფრო მეტი მეგობრობა გაეწია, თუ გამოეჩინა. ვინ იცის, მართლად საღისისთვის გი გასწინა შარლოტა გორდემ თავი, თუ იგი მსოფლიო მსუქნელი იყო სასკლის მოყვარულის ეკსალტაციისა. ზოგიერთ ისტორიკოსს სწამს მისი გულწრფელი და იმ აზრს ადგია, რომ მსოფლიო ღრმა სიყვარულმა საღისისამ ააღებინა შარლოტა გორდეს სულში მასვილიო.

11 ივლისს 1793 წ. შარლოტა გორდემ დატოვა შრომინცია, საიდანაც იგი გაემგზავრა ვითომ ინგლისში წასასულილათ და მოვიდა პარისში. მარტი იმ დროს საღისისაგან გაღმერთებული Ecole de Médecine-ის ქუჩაზე ცხოვრობდა და, თუმცა იმდენათ ზავთ იყო, რომ გარეთ ვერ გამოდიოდა, მკვრამ მანინც არ ისვენებდა და კალამს სელიდან არ ატოვებდა. იგი დარბიულათ ცხოვრობდა, ისე ღარიბათ, რომ, როდესაც მოკვლეს, მის სასაღ-ში მსოფლიო ოცნდა ხუთი სუ აღმოჩნდა.

დილით 13 ივლისს მარტი ივითას ერთმა ქალმა, რომელიც იტლთ მორცხვობდა და მძვიდობიანათ გამოიყურებოდა. შეგვრემ აუსხსნა, რომ „საღისის მეგობარი“ ზავთ არის და ვერ გინასულიესო, რის გამოც უმწვივლემ ქალმა მოკვლე აართია დაუტოვა მარტი. საღამოზე უცნობი ქალი კვლავ მოვიდა. მარტი ამ დროს საბანუელ აუჩში იჯდა, გვერდით ედგა მატარა მკვიდა საწერ-კაღ-შით. უცნობი კალის ძილიას არც ახლა უნდოდით. სმა მდღეს ღამარტს მარტსა უური მოჭკრ და უმძან შე-ძოეეეანათ. ქალი შევიდა, მკვრამ არ გაუვიდა ბევრ სასს და უცნო სამიხლი ყვარილი გაისმა, მიშვილეთო. შე-ცვივდენ ოთახში და დანახსს სასსლით შეღეპილი მარტი, რომელსაც თავს ადგა შარლოტა გორდე. მას მა-შინვე დაუგეტეს ვარკი, რომ არ გაქრეულიყო, და ერთ-მა იქ მეოფამ სკამი დაარტყა თავში. საბანო ოთახიდან მარტი გადითახსს საწოლში, სადაც მან მალე სული დაღია.

ეს ამბავი ეფვასავით მოკლო მთელ პარისს და გა-ძოეეეეული შთაბეჭდილება მოახდინა. „საღისის მეგობარი“ მოჭკლეს, მოჭკლეს „საღისის მეგობარი“! მსო-

ფლით ამას იმეორებდა ყველა. მარტის სასღს უთვალა-ვი საღისი მოაწედა. თვითიყოელის სახეზე ისატებოდა მწუსარება, შურისძიება, სიბრტყე. საღისი დამნაშაის თავს თხოვლობდა. აი, გამოიყვანეს შარლოტა გორდე, მკვრამ შეატყეს რა მას-სურვილი გამძვინვარებული საღ-ისის სულში ჩავრდნისა, მაშინვე ისეე სასღში შეიყვანეს, ვიდრე შოლიციის კომისარი მოვიდოდა.

გამოძიების დროს შარლოტა გორდე ძალიან დამ-შვიდებული იყო და კითხვებზე გულგრილათ უპასუხებ-და: მე პარისში ამის მეტათ არა ვუოფილვარო, მარტი იმიტომ მოკვალი, რომ ვსედავლი შინაურ ომს ძმთა შო-რის და მეშინოდა; რომ იგი მარტის წყალობით მთელ საფრანგეთს არ მოსდებოდაო. ამხანაგი ამ განხრა-სვაში არავინა შეოლიაო, და სს...

როდესაც შარლოტა გორდე განხრეკეს, მას გარდა-დანის ქარქამისა უბოეეს მეოტე წერილი მარტთან, ოქ-როს საათი და ორი ქალადი, რომელთ შორის ერთი ნათლობის მოწმობა გამოდგა. ეს უგანასკელი გარემო-ება ცოტა ეტვის ჰბადეს სასკლის მოხვეჭის უანგარობის შესასებ და ამტვიცნებს, რომ შარლოტა გორდეს სრუ-ლიადაც არ სურდა, რომ მისი სასკელი უცნობი დაჩრე-ნილიყო.

გამოძიებას შემდეგ შარლოტა გორდე სამატიმროში წაიყვანეს, სადაც იგი სრულიად აუელეველათ ამოობდა თავის დანაშაულის შესასებ: „მე ჩემი შევასრულიე, სსეე-ბო დასბოლოეეებენო“.

სამყრობილვდან შარლოტა გორდე წერილს სწერს თვის მამას და ბოდიშს ისღის მასთან. იგი სრულიად არ წუხს თვის საქციელზე. მამას ატეობებს, ფოტ-მის გულისთვის დამცველი ავიჩნეო, თუმცა ჩემი დანა-შაული ისეთია, რომ დაცვა შეუძლებელიაო. წერილს ასე ათავებს: „მშვიდობით! გთხოვ დამივიწყეთ, ან—და, უკეთ, განხაროთ ჩემი ხვედრით, — იგი ასე შეგინებია. ნუ დამივიწყებთ გორდელის სიტყვებს:

Le crime fait la honte et non pas l'échafaud.  
(სირცხვილი და არა სასწრაბოკლას.). დანაშაულობა ხვალ რა საათზე მე გამასმართლებენ“.

მეოტე დღეს 17 ივლისს შარლოტა გორდე წარს-დგა რევოლუციონერ სამსჯავროს წინაშე. შოგო დელა-გარდი, რომელიც იცვდა შარლოტა გორდეს, ასე აგვი-წერს მას: აიეს იყო გარტი შედგომული ქალი. მსრებზე ურიერთ ევარნ გრძელი თმა; თავლებს უჩრდილვად გრძელი წამწამები; მოგროო სასე, რომელშიაც გამოჭკრ-თოდა დიდებული სული, და მისი უმწვილური სმა ქარ-მონიულათ იყო შესაბუებული მის უბრალო ქნეგასთან.

- რამ გაფიქრებიათ მარტის მოკვლა?
- მისმა აკვანობამ.
- რა გავიგონიათ მის აკვანობაზე?
- ის უბედურება, რომლის მიზეზი იგი იყო, და-იწყო თუ არ რევოლუციისა.



— გინ ჩაგაგონათ ეგ განზრახვა?

— ანაგინ. მე მოკვლი ერთი, რომ გადამეჩინინა ასი ათასი. მე ვიყავი რესპუბლიკის მომხრე რევოლუციონარად. შესანიშნავია რამდენიმე ზანუხი შარლოტა გორდესი.

— გინ ჩაგინერგა მარტისადმი ასეთი სიძულვილი? ჩემთვის საჭირო არ იყო სხვისი სიძულვილი, ჩემიც საკმაო მქონდა.

— მაგრამ მისი მოკვლის სურვილი გი, შეტყეობა, სხვამ ჩაგაგონა!

— სხვისი ჩაგონებულებს ძალიან ცუდათ ასრულებენ.

— რას ელოდ მიწა ტის სიკვდილისაგან? — ჩემი სამშობლას დამშვიდებას.

— ნუ თუ გგონიათ, რომ თქვენ მოჭკალით ყველა მარტონ?

— ეს სომ მოკვდა და სხვებს შეეშინდებათ, მგონია.

30 ივლისს 1793 წ. საღამოს შეიდ საათზე შარლოტა გორდესთან შემოვიდა ჯალათი და წითელი ტანისამოსი ჩააცვა. ხალხი ჩუმთ მისდევდა სამელოვიანრო ეტლს, საიდანაც შარლოტა გორდე დამშვიდებული იყურებოდა. იგი აიყვანეს მდღეს... ჯალათმა მოჭრილი თავი შარლოტა გორდესი აიღო სელში, ხალხს დაანახა და ამასთანავე ისეთი სულის სიმძაბლე გამოიჩინა, რომ მოკვთილ თავს სიღა გაატყა. ხალხში, თუმცა იგი სისხლს

დადი ხნის შეჩვეული იყო, უსამოკნობის სმაურობა გაისმა. შარლოტას სახე ფერმკრთალი იყო, თუმცა თავისი შეგინერება არ დაეკარგა. ჯალათმა ხელმეორეთ ასწია იგი საჩვენებლად, მაგრამ ამ დროს სახეს სიწითლე შემინიეს, თითქო მან თვით სიკვდილს შემდეგაც კი იგრძნო უკადრისი შეურაცხვეობა.

სიკვდილს შემდეგ შარლოტა გორდეს ზოგი ამართლებდა, ზოგი ამტყუნებდა. ანდრე შენიემ საუცხოო ლექსი უსიღვნა, რომელშიაც იგი მარტს ნამდვილ ტირანს უწოდებს. დემურატმა ადამ ლუქსმა, რომელიც დაესწრო შარლოტა გორდეს სიკვდილს, მთელი წიგნაკი გამოსცა, რომელშიაც სსვათა შორის ამბობს: „თუ სურთ ზატოვი მტენ თვისი გილიოტინით, რომელიც დღეიდან ჩემ თვალში საკურთხეველად იქნება, ვისოვ, იმ ჯალათებმა იმდენივე სიღა გაატყენ ჩემ მოკვთილ თავს, რამდენიც გაატყენ შარლოტას თავს“. ა. ლუქსმა ბოლოს ის აზრი გაჰოთქვა, რომ შარლოტა გორდე დიწისა ქეგლისა, რომელსაც უნდა ეწეროს:

Plus grande que Brutus!

(ბრუტუსზე დიდებული).

ამისთვის ადამ ლუქს თავი მოჭკვეთეს. მარტის გვამი კი რამდენიმე თვეს შემდეგ ანდრე შენიეს ძმის წინადადების თანხმით ზანთონში უნდა გადმოეტანათ და მიწაბოს ადგილზე დაესაფლავებიათ.

ასეთი იყო მსჯავრი რევოლუციონის!..

დ.

### კიდევ ორიოდ სიტყვა

ქალთა მომავალი სკოლის შესახებ.



სე აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია ქალთა სკოლის დაარსება ამ მოკლე ხანში, რომ გული არ გეთიშენს ამ საგანზე კიდევ და კიდევ არა ვთქვათ—რა.

უნდა მოველოდეთ, რომ ყველა ქართველი ქალი, ვისაც კი ცოტა ოღნათ შესტყვივა გული ჩვენ საქმეებზე და ჯერ არ არი ქართველებისთვის დეკარგული, თითონვე იგრძნობს ამ საქმის დამთავრების საჭიროებას, არა თუ გამოიღებს თავის წვლილს, არამედ ჩავონებით, თუ თხოვნით, სადაც კი ხელი გაუწვდება, მოძებნის საშუალებას და მიაწოდებს ქალთა კომიტეტს საქმის დასამთავრებლათ.

სხვა ქვეყნებში ქალების ენერჯია ყოველთვის შესანიშნავი ყოფილა და მათ ყოველთვის თავიანთი საქმე თითონვე გაუტანიათ—და არა მგონია, ქართველი ქალები, თუნდა რიცხვით ცოტანი არიან, უკან ამოაჩვენ სხვებს. ტყუილათ კი არ არი ნათქვამი

ძველათ ხალხში: „დედაკაცმა გაიწია და ცხრა უღელმა ხარმა ეერ შეიმაგრაო“...

კარგა ხანია, რაც ყოველ გაზაფხულს ასტეხენ ხოლმე ლაპარაკს ქალთა შკოლის დაარსების საჭიროებაზე. იტყვიან ერთ-ორს და მიჩუმდებიან. ეშიშობთ, რომ წელსაც აგრე არ იყოს. მერე რა ადვილია საქმის უკუვდება, მხოლოთ ოთხი სიტყვა საჭიროა: „შკოლის გასახსნელი ფული არ არი.“ — და გათავდა საქმე—გაიღო სჯა და ლაპარაკი... ბანკის საქმეების მკოდნენი ბძანებენ: წრეულს მოგება არ არა, სათავად-აზნაურო შკოლას არა გადურჩება რაო. ეს ძველათ ძველი სიტყვებია და ყოველ წლავ გვესმის. როდესაც პირველათ ქალების შკოლის დაარსების საჭიროება იგრძნო საზოგადოებამ, იმ წელსაც ამბობდენ, მაგრამ წინამძღვარიანთ კარის შკოლისთვის იშოვეს საშუალება და დაუნიშნეს ყოველ წლივ ხუთი ათასი მანეთი.

იმ წელსაც ამბობდენ არ არი ფულიო, როდესაც ხოლერის მოსასპობლათ ბანკმა იშოვა თორმეტი ათასი მანეთი.

იმ წელსაც ამბობდენ არ არი ფულიო, როდენ



საც კახეთის რკინის გზისთვის გადილა თხუთმეტი ათასი მანეთი.

იმ წელსაც კიდევ ამბობდენ არ არი ფულოო, როდესაც საცხენისის შკოლისთვის დასჭირდათ ფულის გადადება... მაშ როგორ ვერწმუნოთ ამ პირებს? ესენი კიდევ იმასაც ამბობდენ, რომ ქალების მომავალ შკოლაში და პანსიონში შემოსავალი სახსენებელი არ იქნება, რადგან თავად-აზნაურთა შეილები ან მუქათა, ან მცირე ფასათ უნდა გამოვზარდოთო...

თუ კი ჩვენმა თავად-აზნაურობამ ბანკის მოგებიდან თითქმის ნახევარ—მილიონამდის ფული მოახმარა ვაჭების აღზრდას, ნუ თუ ქალები მისი შეილები არ არიან, ან ნაკლებათ ესაჭიროებათ იმათ აღზრდა! ღმერთმა დაიფაროს ოჯახი უმეცარი ქალისაგან, თორემ იმას შეუძლია მთელი წლების ნაღვაწი ერთ-ორ საათში ნიაგს მისცეს.

მაგრამ არა, ჩვენ თავად-აზნაურობას ვერ დაეწამებთ, რომ იმას არ შეეგნოს ქალების განათლების საჭიროება, ან მოინდომოს მუქათა ქალების აღზრდა და დახმარება კი არ აღმოუჩინოს. ბევრს ესსომება 1892 წ. ბანკის ერთ კრებაზე მთელმა თავად-აზნაურობამ როგორ ერთ ხმათ გამოაცხადა ქალების შკოლის დაარსების აუცილებელი საჭიროება, და დაეაღა ბანკის მართველობას, რომ ამ საგნისთვის მიეცა უპირატესობა. გეხსოვს ამავე კრებაზე ერთმა ბანკის საქმეების გამგებელმა დიდი მჭევრმეტყველობით წარმოთქვა დაახლოებით შემდეგი: „ჩვენ არა ნაკლებ ვფიქრობთ ქალთა შკოლის დაარსების საჭიროებაზე, მაგრამ რა გაუხდებთ, წელიწადში რომ გადავდოთ ოთხი ან ხუთი ათასი მანეთი. მაგას უნდა მუდმივი წყარო და ეს წყარო ამ ცოტა ხანში, — ექვს-შვიდს წელიწადში — აღმოჩნდება... გაგვითავისუფლდება მამული... ერთხანს ათასი, ანუ ორასი ათასი მანეთი გვექნება“. მართლა და რა შეედრებოდა ამ სიტყვებს, მერე იმისთანა კაცის პირით წარმოთქმულს, რომელსაც ვერ დაეწამებდით ვერც აჩქარებას, ვერც მოუმიფებლობას... განელო დრომ, განქრენ იმედები... ახლა, ამბობენ, იმ მამულს თითონ შეეღა ესაჭიროებაო... ვინ გადაგვწერა უკუღმა პირჯვარი, რომ საზოგადო საქმეები ვერ გამოგვიბრუნებია!

მე ვეთანხმები იმათ, ვინც ამბობს, რომ უც-

ხოეთში პარტიობას დიდი სარგებლობა მოაქვს, საქმეები უფრო ირკვევა, აზრების მოძრაობაა, სიცოცხლე დუღს და გაღმადისო. მაგრამ როდესაც ჩვენ ცხოვრებას დაუფუკერებდით, ბრაზი მოსდის კაცს, რადგან ამ პარტიობაში ინახება ჩვენი წვრილმანობა. ქალების შკოლას საქმემ მოიტანა სიტყვა, თორემ შორს ჩვენგან, ეშმაკო! მომავალი თაობა თითონ ასწონ-დასწონს ამის აე-კარგიანობას. ჩვენ მხოლოდ გვინდა ორი მაგალითი მოვიყვანოთ აქა: მე როგორც გარეშე მეთვალ ყურე ხან-და-ხან დავსწრებოდი ბანკის კრებაზე. ერთხელ, როდესაც დადგეს კენჭის ყუთი გამგეობის მეოთხე წევრი გვესაჭიროება თუ არაო, მივედ ერთ პირთან, რომელიც მიუდგომელ და სამართლიან კაცათ მიმაჩნდა და თანაც დაახლოებით იცოდა ბანკის საქმეები და კითხე: როგორ გგონიათ, გამგეობის მეოთხე წევრი ესაჭიროება ბანკს თუ არა? იმან თავ-მომწონეთ მიპასუხა: კეძოთ მე თითონ წინამდღევი ვარ, საჭიროთ არ მიმაჩნია, მაგრამ მე პარტიას მივდე და მხარი უნდა დაუჭირო! გაეშორდი ცივათ. ოთხი ათასი ზ ხუთი ათასი მანეთის დახარჯვა, როდესაც აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვდა, ვის არ დააფუკრებდა.

ერთხელ კიდევ ვიდექ ბანკის დარბაზში და დაღონებული შევეცქეროდი ხალხის ღელვას. უცხათ წინ დამიდგა პარტიის ერთი კაცი.

— ხომ ვიცი რაზედაც ფიქრობთ; გნებათ აღეძრა ლაპარაკი ქალების შკოლაზე. მე ისე გოაცებით თვალეები შევაჯიტიე და უკან დავიხიე, რომ მოპირდაპირემ შემებრალა და მითხრა:

— ნება თქვენი არ არი, ხმას არ ამოვიღებ!

იცით, მკითხველო, რათ შემეშინდა? ეს პარტიის კაცი იყო და, თუ ხმას ამოიღებდა ქალების შკოლაზე, მოპირდაპირენ წინამდღეობას გაუწევდენ; რადგან ჩვენში საქმეს კი არ აქცევენ ყურადღებას, მხოლოდ ვინ აძღრა ლაპარაკიო.

დაუბრუნდეთ ისევ ქართველ ქალებს და მოვაგონოთ, რომ რაც უნდა პატალო კლდეები იყოს აღმართული იმათ წინ, თუ ქალები ენერგიით მოეკიდებიან საქმეს, თუ ისინი მოინდომებენ—თავისას გაიტანენ. მაშ დაუფლოცოთ გზა და იცოდენ, რომ ამ საქმის დამთავრება იქნება საძირკვლის ერთი ქვა-კუთხედა, რომელზედაც უნდა აიგოს ჩვენი მომავალი ბედნიერება.





სხვა-და-სხვა ამბავი.



ვირას, 25 თებერვალს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მომხდარა ქუთაისში. კრებას მოუხმენია პროექტი ფინანსთა სამინისტროსაგან შესახებ წარმომადგენლებისა ქუთაისისა და თბილისის ბანკებში. ეს პროექტი, როგორც შევეიტყვით, ერთსა და იმავე დროს ყოფილა გამოგზავნილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორებთან. როგორც იწერებთან ქუთაისიდან, პროექტს აზრათ აქვს ჯერ-ჯერობით შეამციროს დამფუძნებელ წევრთა რიცხვი, ხოლო შემდეგში სრულიად გააძეოს მათი მემკვიდრეები. ქუთაისის თავად-აზნაურებს კრებამ ერთხმად მიანდო ს. გ. წერეთელს - იშუამდგომლოს მინისტრთან დამფუძნებელ წევრთა სასარკებლოთ.

\* \*

აუარებელი გლოვის წერილები მოგვდის საქართველოს ყოველი კუთხიდან, რომ პანაშვიდს იხდიან განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელის სულის მოსახსენებლათ.

\* \*

ამ ბოლო დროს, როგორც შევეიტყვით, ცხენის რკინის გზის სამმართველოში უფროსათ დაუნიშნავთ ვიღაც ახალი მოხელე, რომელსაც ქართველები სრულიად დაუთხოვია სამსახურიდან და მათ ადგილას სულ ურიები ჩაუყენებია. არ ვიცით, რამ აძულა ეს ახალი უფროსი, ასე მკაცრათ მოქცეოდა საწყალ ქართველ დაბალ მოხელეებს, რომელთაგანაც ზოგი 9—10 წელიწადი მუშაობს ამ გზაზე და ისე ასაზრდოებს თავის ცოლ-შვილს.

\* \*

ჩვენ მივიღეთ ქ-ნ მარკორი უორდროპისაგან ილ. ქაეჭავაძის პოემა „განდევილი“ გადათარგმნილი ინგლისურათ. წიგნი შეენიერთ არის გამოცემული და შიგ ჩართულია პოეტის სურათი. წინა-

სიტყვაობაში ქალ. მარკორი ამბობს ინგლისის საზოგადოების მიმართ, რომ ქართული ლიტერატურა სპარსეთის ლიტერატურას არ ჩამოუჩეხება ლიბრისა შესწავლისა. „განდევილს“ და მის ავტორს ილ. ქაეჭავაძეს ჩვენს ლიტერატურაში უპირატესობას აძლევს და ხსნის „განდევილის“ შინაარსს თავისებურათ: „ეს პოემა აშენებულია ადგილობრივ ლეგენდაზე და ჩემი აზრით სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. თვით განდევილი განა არ გამოხატავს შუასაუკუნოებს? მწყემსი ქალი უნდა იყოს ხანა ხელოვნების და მეცნიერების აღორძინებისა, რომელიც ბევრათ გვიან გაჩნდა საქართველოში, ვიდრე დასავლეთში. რასაკვირველია, ამ უკანასკნელი ხანის—სილიადეს—სიცოცხლეს ვერ უმაკრდებია ცხოვრებას ძველი წეს-წყობილება და ამიტომ ამან ან უნდა მიიღოს ახალი ცხოვრების ლტოლილება და ან განადგურდეს.“

\* \*

ჩვენ მივიღეთ ორი წიგნი ბ. ივ. როსტომა-შვილის მიერ გამოცემული: „ლინჰარდი და გერტრუდა“, მოთხრობა პესტალოცისა და „ფუტურის გონიერა მოელა-მოშენება“. ორივე წიგნაკი საკმაოთ სუბთათ არის გამოცემული და ფასითაც ძვირი არ არის.

\* \*

მკითხველს ეხსოვება, რომ ორი წლის წინათ სათავად-აზნაურო კრებამ მიანდო თავ. გიორგი თუმანიშვილს ჩვენში საერობო დაწესებულებათა შენობების შესახებ წერილის დამზადება. ამ ჟამათ თავ. თუმანიშვილს შეუდგენია ამ საგნის შესახებ სამი წერილი და კიდევ წარუდგენია ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის. ამ წერილებს განიხილავს იმავე კრების მონაწილეობით საგანგებო კომისია, რომლის წევრებათ იქნებიან თვით გუბერნიის წინამძღოლი, წერილების ავტორი, მაზრების მარშლები და ის პირნი, რომელთაც მოიწვევს გუბერნიის თავად-აზნაურების წინამძღოლი. ჩვენ ვეცდებით ამ მოკლე ხანში გვაცნოთ ჩვენს მკითხველებს ამ საყურადღებო წერილების შინაარსი.

საყურადღებო ამბები.



ქუთაისი: საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწევა, ნათქვამია ანდაზა. სწორეთ ასე მოუვიდა წრეთულს ქუთაისს: ჯერ წყალ-დიდობამ აზარალა, ისეთ დღეში ჩაავდო, რომ გამობრუნებას

რამოდენიმე წლები მოუწდებია, და ახლა ამ მოულოდნელმა თოვლმა სულ განადგურა, დაამტვრია, დაანგრია სახლები, დუქნები, შიკრა გზები, მოისპო მუშაობა და ყველას გაუჭირა ცხოვრების სახსარი. დიდი ვასპირი ადგია ხალხს: არავითარი მომზადება საზოგადოთ არ ჰქონდა, ან ეინ მოელოდა ამას ქუ-



თაისში, როდესაც შარშან ამ დროს თითქმის სა-  
ზაფხულო ტანისამოსით დასეირნობდნენ. მეტათ გა-  
საჭირში არიან უამისოთაც შევიწროებული მცხოვ-  
რებლები, მათთვის არც ფული, არც შეშა და არც  
ნუგეში; მხოლოდ ამას მიაქცია ყურადღება აქაურ-  
მა „საქველ-მოქმედო საზოგადოებამ“ და გადაწყვი-  
ტა აღმოუჩინოს შემწეობა და ამ მიზნისათვის აირ-  
ჩია თავის წევრთა შორის რამდენიმე კაცი, რომლებ-  
საც „კოპიტილებს“ ეძახიან. ზოგი აგროეებს ფულს  
და ზოგი იკვლევს ღარიბის მდგომარეობას და აძ-  
ლევს შემწეობას. სწორედ დიდი მადლობის ღირს-  
ნი არიან ყველა ამ საზოგადოების წევრნი და ვინც  
კი მხურვალე გულით შემწეობა აღმოუჩინა ამ საქ-  
მის.

გურ. ამხანაგ.

\* \*

ს. კუხი. ამ წლის 5 მარტს უნდა მოხდეს „მეა-  
ბრეშუმეთა ამხანაგობის“ პირველი წლიური საზო-  
გადო კრება „ამხანაგობის“ საკუთარ სახლში. კრე-  
ბამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსული 1895  
წლის ანგარიშისა. 2) დამტკიცება 1896 წლის სა-  
ეარაუდო ხარჯთ აღრიცხვისა. 3) მოსაზრება, თუ  
როგორ გააერთიანოს ამხანაგობამ თავის მოქ-  
მედება სხვა ადგილებშია. გამოსცეს თუ არა მეტი  
წილის ბარათები თუ სხვანი.

სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ეს  
ამხანაგობა დაარსდა სოფელ კუხში (ქუთაისიდან  
20 ვერსტის მანძილზეა ხონთან ახლოს) და მოკლე  
ხნის განმავლობაში დიდი თვალსაჩინო ნაყოფიც  
მოიტანა.

\* \*

ბარტანა: (ბათუმის გაცალკეებით მხარეა, სა-  
დაც ბინადრობენ ნავთის ქარხნების მუშები) 25-ს  
თებერვალს ბ. ნ. გოჩა-ჯიხაიშელის თავისობით გა-  
მართული იყო სალიტერატურო საღამო ჩვენი და-  
უფიწყარი ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილის მოსაგო-  
ნებლათ. პირველათ წაიკითხა: ბ. გოჩამ ეგ. ნინო-  
შვილის ბიოგრაფია თავისი განმარტებით, რომ-  
მელმაც ხალხის გულში მწუხარება აღძრა. შემ-  
დეგ წაიკითხა ლექსი ჩვენი ბელეტრისტის ტანჯული  
ცხოვრების შესახებ, რომელიც აქვე მოგვყავს:

გვ. ნინოშვილის (ინგოროყვას) მოსაგონებლათ.

მხო, ეგნატე, შენას კაღამას  
თვალთ დაგანასკა უმარსლო კრის;  
დღეს კი არ გვეყვას, და მისთვის გტირის

მთელი გურია, ამერ-იშერი.

შენც წილათ გარგო მუსთაღმა ბუღას —  
სიციკ-შიმშილი, სულის კვეთება;  
მოუსვენრათა იტანკუბოდი,  
არ გდიწსება ტკბილი ცსოკრება.  
კაცი იყავი, კაცურათ მოკვდი,  
კაცურ სსელი ჩაგვას სოფლავში;  
შენი სურათი სიმაწლით საგსე  
დაწინიდა მომქეთ სსოგნში.

გტირის ბუღ-კრული შენი: „სიმონა“;  
ბანს აძლევს „ჩვენი ქვეყნის წინადა“.

შენ დაგვისატე კარგი და ავი,  
ნათლათ გვიქციე შავი, წუგდიადი.

თუმა აძ ქვეყნათ ვერა წა გარგეთ,  
მაგნამ იქ გექმნეს ტკბილ განსვენება;  
აწ-კი მშვიდობით, მძაო, ეგნატე!  
უგუნისაძღე შენი სსენება!..

ერთი სიტყვით ისეთი კაცი არაიან იყო, რომ  
თვალთაგან ცრემლი არ გადმოაციროდა.

იმან მეტათ ააღლევა საზოგადოება, როცა ეგ-  
ნატე განაგრძობს:—„მე გონია, ჩემი ჯანი და ღონე  
დაეკარგე ბათუმის ქარხნებში და მარგანცის კანტო-  
რებში“—ო. ამასთანავე შემდეგ წაიკითხეს: „მერა-  
ნი“, „სამშობლო ხვესურისა“ და „ჩონგური“. პირ-  
მოთწეობით არ ვიტყვი და სწორედ საზოგადოებამ  
დიდი მადლობა გამოუცხადა ამ საქმის მეთაფონს  
ბ. ნ. გოჩა-ჯიხაიშელს. იმედი გვაქვს, რომ მომავალ-  
შიაც არ მოაკლებს თავის შრომას და თვეში ერთ-  
ხელ მაინც გამართავს „საღამოს“. საღამო იყო გა-  
მართული ბათუმის იმ მხარეს, რომელზედაც თვით  
განსვენებული ეგ. ინგოროყვა მოგვითხრობს: „ბა-  
თუმის ერთ მხარეს არეულ-აჩხიროული ფიცრული  
ფარდალალა შენობებია, რომელსაც სარკმელი არა  
აქვს, ჭერიტინები კი საკმაო. მაგრამ ჭერიტინებში  
ქარი უფრო მძლავრათ შეზუზუნებს, ვიდრე სინათ-  
ლე“—ო. დიახ, ეს მხარეა, ჩვენი მუშების საბინად-  
რო ალაგი, რომელნიც მოკლებულნი არიან გო-  
ნებრივ საეარჯიშოს.

ჩვენი მუშები, როდესაც ფულს მიიღებენ, ე.  
ი. შაბათობით არღნებზე ქეიფობენ. თუ თვეში ერთ-  
ხელ მაინც გამართებოდეს ჩვენს ბარცხანაში ასეთი  
საღამოები როგორც ახლა, უეჭველია, რამდენსამე  
ხანს შემდეგ, ჩვენი გაუნათლებელი მუშა (უკაცრა-  
ვათ) ხალხი დაკარგავს გაფუჭებულ ზენ-ჩეულე-  
ბას.

ილია შანაშიძე.

\* \*

ს. ქვემო-ჭაღა. (გორის მახრა.) კარგა ხანია მას  
შემდეგ, რაც ჩვენს ინტელეგენციაში აღიძრა სურ-



ელი ჩენი მდაბიო ხალხის გონების განვითარებისა და შეძლებისამებრ ცდლობენ კიდევ, რაც შეიძლება, საკმაო სწავლა-განათლება შეიტანონ ხალხში, სხვათა შორის სასოფლო სასწავლებლების შემწობით. მაგრამ სამწუხაროთ აქამდე ბერს ვერაფერ წარმატებას ვხედავთ ამ მხრით. ხშირათ შეეხვედრივარ ხოლმე წერილებს სხვა-და-სხვა პროვინციებიდან, რომ ჩენი მდაბიო ხალხი დიდი წინააღმდეგი არის სასწავლებლის დაარსებისა და კიდევ აქა-და-აქ სასწავლებლები დახურესო. ბერი გლენისაგან გამიგონია კიდევ შემდეგი: გლეხები კი გახლავართ, მაგრამ არც ისეთი უგუნურები ვართ, რომ არ გვესმოდეს სწავლის მნიშვნელობაო, სხვა რომ არა იყოს რა, ათასი საჩივრების დამწერი ჩენა გეპირდება ხოლმეო და, ეს რომ ვიცოდეთ, დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა. მაგრამ სადაც კი სკოლები ენახეთ, არაფერი სიკეთე არ მოუტანიათ, ტყუილა უბრალოთ ოთხი-ხუთი წელიწადი დადიან ჩენი გოგო-ბიჭები სასწავლებელში და მომეტებული მათგანი წერა-კითხვასაც ვერ სწავლობს ხეირიანათ და მუშაობასაც ცდებიან, რაც ჩენთვის დიდათ საჭიროაო. ათასში ერთი თუ ისწავლის ხოლმე ხეირიან წერა-კითხვას, ის მუშაობას აღარ კადრულობს, თორემ რომ სიკე-

თეს ვხედავდეთ, თავებს დაევირავებთ და ისე ვასწავლით ჩენს შეილებსო.  
 წრეულს ს. ქვემო-ჭალის სამინისტრო სასწავლებელში დანიშნეს მასწავლებლათ ალექსი მიქელაძე, დიდი მშრომელი კაცი, რომელსაც სწავლა კარგათ მიჰყავს. ამისივე მეცადინეობით, სასწავლებლის წინ გაუმენებიათ შეენიერი ხილის ბაღი. ხუთი დესეტინა მიწა ამ ბაღისთვის შეუწირავს სასწავლებლისთვის დიდათ პატივცემულთა. ივანე გივისძე ამილახვარს. საზოგადოთ ყველანი დიდათ ემადლიერებიან ბ-ნ მიქელაძეს, რომ სკოლის საქმე ასე კარგათ მიჰყავს. წელიწადია, რაც აქ ხელსაქმეს ასწავლის კ. ს. ფალავანდიშვილისა და მართლა შესანიშნავათ შეუსწავლებია სხვა-და-სხვა ძველი და ახალი ხელსაქმეები მოსწავლე ქალებათვის. ამ ფრიად საჭირო საქმის უკეთესათ დაყენებისათვის კ. ფალავანდიშვილის მეთაურობით გაუმართავთ აქ წარმოდგენა ქრისტეშობისთვეში, ბატონ მიქელაძის და სხვა კერძო პირთა მონაწილეობით. საკმაოთ კარგათ ჩაუღვლია წარმოდგენას. სასურველია, რომ სხვა სოფლებმაც მიბადონ ქვემო-ჭალას და ამითი ხალხს დაანახეონ სწავლის ნამდვილი სარგებლობა.

სტუმარი.



ნუ ტირი, ჩონთო!

ნუ ტირი, ჩონთო, თამაროს!  
 თარმეტ თვის იყო შაწია.  
 აიღვა ფუხი, თუ არა,  
 იმ ქვეყნისაგან გასწია,

საიდან არ ვინ მოსულა;  
 ეუკლს იქ მიემგზავრება...  
 ეს არის სკედრი ტოტოსისა,  
 ასე მუშაობს განკება.

განა არ ვიცი, გულისა გწავს—  
 შეილი მოგიკვდა შატარა.  
 შენი ნუგეში, სიტოტოსლე,  
 შენი შატარა თამარა.

მაგრამ ნუ ტირი, შე გირჩევ:  
 აწ მოთმინება სკობია,  
 სადაც არ გადის არა—რა,  
 იქ დათმე დასათმობია.

ამასაც გირჩევ, გასსოკდეს:  
 შეიღეს ნუ მიანდობ შიასას.  
 დედაც რომ შეილი გახარდოს,  
 უკეთეს რაღას იზამსა?

გორტოსი.



# ყოველად სამღვდელმცოდნეო ეპისკოპოსის გასვე- ნიზის წეს-რიგი.



ამგე კომიტეტმა, რომელმაც უნდა განზღოს წესი და რიგი მიწველულის ძღველ-მთავრის გაბრძოლის განსვენებისა. უკვე შეადგინა ტექსტი განსვენებისა. გამოსვენება საკათედრო ტაძრიდან მოსდება უკვე 10 მარტს, კვირას, დღის ცხრა საათზე, სოლო წირვას გადასდინ წინა დღეს, შაბათს, რადგან ერთსა და იმავე დღეს წირვასაც და წასვენებასაც ვერ მოახერხებდენ. საკათედრო კარების წინ, ეკლესიის გარეთ, ამართული იქნება განკუთვნილი ამ შემთხვევისთვის ამაღლებული ადგილი, სადაც მცირე სინთ დასვენებული იქნება მიწველული და სადაც მსურველნი წარმოსთქმენ განმარტებული სიტყვას. ამას შემდეგ პროცესია გაემართება ვაგზისაკენ თბილისის ქუჩით, სადაც გამწვანებულნი იქნებიან მთელი ქუთაისის სასწავლებლების მოსწავლენი თავ თავიანთ მასწავლებლებთან და აღმწვანებულნი. მიწველულის წინ გაემართებიან საეკლესიო და საერო პირადები, პირადებს შემდეგ იქნებიან მკალბული გუნდები სხვა-და-სხვა სასწავლებლებისა; შემდეგ სამღვდელმო-

ხე; მიწველულის გუნდის მიწველების მსგავსი ნათესავები, ნათესავებს შემდეგ გენერალთა და უმაღლესი მოსამსახურე პირნი, გუბერნიის მარშალისა და ქალაქის მოურავნი, შემდეგ სხვა-და-სხვა დეპუტაციები უნდა გუბერნიიდან მოსულნი; ამით მიწველების ქუთაისის გუბერნიიდან მოსულნი დეპუტაციები, შემდეგ თავად-აზნაურობა ამავე გუბერნიის მაცხრის მარშალისა წინამძღოლობით; თავად-აზნაურობას შემდეგ ქალაქის სმონები და სოფლის წარმომადგენლები, შემდეგ მანდილოსნები და ბოლოს დანარჩენი საზოგადოება. წესიერების დასაცემლათ იქნება ოცდამდე ოცდაათამდე პირი, რომელთაც მსრუბე შავი სამკლავიარო ლენტები იქნებათ. ამ გვარით დაწყოილი პროცესია მივა ქუთაისის ვაგზისაკენ, სადაც რკინის გზის მარშალისა გაემართება გელათისაკენ; გზაზე მოწამეთა მოწამეთა მსგავსლათ მცირე სინთ შექმდება, სადაც ამ მოწამეთა მძღველეთა მიეკუთვნება და გადაიდის პანაშვიდს. გელათის სადგურიდან ყოველად სამღვდელმო ხელით იქნება გასვენებული თვით გელათის მოწამეთა მცირე წინ მცირე სინთ იქნება დასვენებული, რომ დანარჩენ მსურველთ მიეცეს საშუალება სიტყვის წარმოთქმისა და შემდეგ მიხარებულ იქნება მიწას თვით გელათის ტაძარში.



## პასუხის პასუხი.



რომა თათარმა მეორეს ჯოხი გადაამტვრია თავზე და თავი გაუტყნა. გალახულმა ყალთან იჩილა, ყალმა მოიხმრა გამლახველი და გამოპკითხა: როგორ იყო ეს ანბავი? მოპასუხებმ თვალი უქნა და მოახსენა: „მაგ ჭირვეულმა კაცმა ჩემ ჯოხს თავი ახალა და ჯოხი გამიტყნაო.“ ყალმა მომიხივნი გამტყუნა და ჯოხის ფასიც გადაახდევინა. — მაყურებლებს გაუტყირდათ და ჰკითხეს ყალს: „მე როგორ იქნებამ?“ ყალმა ვაიცინა და სთქვა: „ნიჯა ოლმამ? ბუთიუნ დუნია მუჯიზალარ ილე დოლუ დურ“ ო. ე. ი. რატომ არ შეიძლება? მთელი ქვეყანა საკვირველებით სავსეაო. ეს ანბავი ქართ. ამხ. წარმომადგენლის პასუხმა მოგვაგონა.

იმ დოლოცვილმა უმიზნოთ გაგვლანძლა, უკადრისები გვკადრა, ჩვენ სამაგიერო არ მოგვიხსენებია რა, მხოლოდთ გაგვიკვირდა, და ახლა, ნაცვლათ პისა რომ შეენანებია, პირაქეთ გვირისხდება: ჩვენს სიტყვებში ცული არა ყოფილა რა და თქვენ კი უზღველათ მოიქცით; აბა, თვით ჯოხის გატყნა სწორეთ ეს არის. აი, რა ბრძანა იმან ჩვენს შესახებ: „ამაში კი დაწმუნებული ვართ, რომ „კვალის“ თანამშრომელთა

ენაზე უკადრისი ანდაზები გუბრია და სიტყვებიცო.“, „გოკასა შანა რაცა სდვას, იგივე წამოდინდებაო“, და სხვანი. აი, ეს სიტყვები გვგონია ჩვენ უკადრისი და ის კი გვიმტკიცებს, რომ აქ საწყენი არა არის რა და ძალიან ზღილობიანიც არისო. თქვენ კი უზღველათ ვაისარჯეთ, როცა ამ სიტყვებს სწვრდითო: „ცულის აღება ბრწყინს შეუილია და რეგენსაცაო.“, „ხნარქეკეიუიო“, „თავრეკიან ბატიუიო“.\*) აი საკადრისი ანდაზა და სიტყვები ამ მოკლე ხანში სმარებული თ. ავტო წერეთლის მიერ. ვისთვის მკითხველთ მე — 82 გვერდის (გველი № 6) პირველი სვეტი წაივითხონ და სთქვან, განა ამისთანა ლექსები ვკადრება „ქართველთა ამხანაგობასო?!“.

\*) ნეტა სად ამოუკითხავს „ამხანაგობის“ წარმომადგენელს, ბ-ნ ალ. ჟაბადრას, ეს სიტყვები, ვითომ ბ-ნ ავტოსთვის მიმართული „ამხანაგობისადაი“? ჩვენ მისი წერილის წავითხვისთანავე გვიხდოდა აღგებინება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ეს ან-საკადრისი საქციელი, მაგრამ რადგან ბ-ნ ავტომ თვითონ ისურვა პასუხის გაცემა, ამიტომ ჩვენ სურვილი მაშინვე ვერ განვხორციელებთ. ასლად აღვნიშნავთ ამას და მივანდობთ მკითხველს ამ „ხელისხელ სავაგამანებო მარჯვლიტის“ დაფასებას.

რედ.



ბატონებო, თქვენი კირიმეთ, აიღეთ ხელში „კვალის“ № 6, გადაიკითხეთ მისგან მითითებული 82 გვერდი და თუ ან ეს, რაც ამოუწერია, და ან სხვა უზღველი რამე ნახოთ იმ ჩემ ნაწერში, გამამტყუნეთ! მაგრამ საკვირველებაც ის არის, რომ ესენი იქ არაფერი არა სწერია და მხოლოდ ბ-ნ წარმომადგენელს შეუთხზავს თავის-თავათ, რომ ცილი დამწამოს და გამკიცხოს.—ამას შემდეგ გადადის ჩვენ შორის შეკრულ პირობაზე და ისეთ რამეებს ანობს, რომელიც ჩემი წერილის პასუხი არ არის და არც თვით იმას უხერხდება პასუხი, ისე გადახვეულ-გადმოხვეულია.— მე არაფერს არ მიეხედავ, კონტრაქტი ხელში

მიჭირავს. რა ვუყოთ მერე? კონტრაქტი მეც მიჭირავს ხელში, მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი აზრი და ძალა ორივეს სხვა-და-სხვანაირათ გვესმის, ბატონო ამხანაგობის წარმომადგენლო. ზემო მოტანილი მაგალითისა არ იყოს, სადაც თქვენი სიტყვები შელანძღვა გინება მგონია და თქვენ კი ამტკიცებთ ზდილობიანაო. აგრევე ჩემ სიტყვებს სულ სხვა ნაირათ აქართულებთ და მისთანა სიტყვებიც ამოგოწვრიათ, რომელიც იქ არარის ნახარები, რა გასაკვირალია, რომ კონტრაქტიც სხვა ნაირათ გვსმოდეთ და ვერ შევთანხმდეთ? სწორეთ ამისთვის არიან საჭირო გარეშე პირები ანუ მედიატორები, რომ გვარ-



მ ტ ე რ - მ ტ ო ყ ვ ა რ ე .

ჩიონ და სტეფან: ვინ არის შემცდარი? და ვინ არა? ეს მით უფრო საჭიროა, რომ თვით კონტრაქტშიდაც არის მოხსენებული ამაზე. მუხლი 9) Возникшія недоразумѣнія должны быть разрѣшаемы третейскимъ судомъ, рѣшеніямъ котораго безусловно подчиняются спорящія стороны и пр... ამაზე მეტი „ნედარაზუმენიე“ რალა გინდათ: მე თქვენი თანახმა არაფარ და თქვენ ჩემი და მამ რათ ნებულობთ, რომ ამ მეცხტე მუხლს გვერდი აუხვიოთ? ეს ხომ პირდაპირი უსამართლობა და დესპოტობა არის? აგრევე ბძანებთ: ნება არა გაქვს უჩვენოთ, რომ პირობა დაარღვიოთ! ნებას არ

მოგცემთ! და სხვანი. იქვე კონტრაქტიდან კი ამოგოწვრიათ: „ვინც პირობას დაარღვევს, ჯარიმა უნდა გადაიხადოს.“ ეს ნუთუ ცხადათ არ ამტკიცებს, რომ პირობის დარღვევა ერთ მხარესაც შეუძლია და მეორესაც თავის თავათ და მხოლოდ ჯარიმას გადაიხადოს, თუ გამტყუნდება. და ვინ უნდა გამტყუნოს ან ერთი და ან მეორე, თუ მედიატორები არ იქნებიან? თქვენ კი, როგორც გეტყობათ, ისე გგონიათ, რომ რალაი კი კონტრაქტი ხელში მიჭირავთ, ყოლიფერი თქვენვე უნდა იყოთ: მომჩივანიც, მოპასუხეც, მსაჯულიც და ბოქაულიც! მეორე მხარე კი თქვენი ყურ-



მოკრილი მონა, ყოველ უფლებას მოკლებული!.. ერთი გვიბრძანეთ, ეს რომელ საუკუნეში და რომელი ხალხის რჯულის კანონში ამოვიკითხავთ? ძალიან საფუძვლიანათ ბძანებთ: „ტყეილათ ნუ ინებებთ ფიქრს იმაზე, რომ „ამხანაგობამ“ ვისმე „შეალახეინოს“, „სასაცილოთ ააღებინოს“, თავისი უფლებანიო“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თვითონ თქვენ რაღათ ნებულობთ სხვის გაკიცხვას და დაჩაგრვას? აკი ბატონ-ყმობა მოისპო და თანასწორობა შემოვიდა? და თქვენი მხრით თუ არ ბატონურ მედიდურობას, სხვას რას ნიშნავს თქვენი სიტყვები: „ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზავთ და შენკი პირობას არ დაგარღვევინებთო?“ არ ვიცი ღმერთმანი, რათ ერიდებით მდღეატორების სამართალს? მართალია ერთგან ბრძანებთ: „ჯერ ორასი თუმანი შეიტანე ბანკში და მერე მოგყვებით სამართალში და ანგარიშსაც მაშინ გაგიწმინდო“. თქვენდა თქვენი ღმერთი! ეს სათქმელია? ეგება ღარიბი ვარ და ვერ შემოვიტანე საწინდარი და თქვენ კი განა ეგ უფლებას გაძლევსთ, რომ თქვენ თქვენ ნებაზე იჯირითოთ, ალარც ანგარიში გამიწმინდოთ და არც სამართალში მიძყევთ? ამისთანა კანონი რომ იყოს, მიშინ ხომ ყოველ ღარიბს დაკეტილი ექნებადა სასამართლოს კარები და მარტო მდიდრებს დარჩებოდათ ბურთი და მოედანი? მაგრამ ვინ არ მიხედება, რომ ეს მხოლოთ სიტყვის ბანზე აგდება არის და სხვა არაფერი!.. ისე როგორც ყველა თქვენი სხვა ნაბძანებიც, მაგალითათ: „დაბეჭედა მიტომ დეაგვიანეთ რომ სამი ტომის მეტი არ გამოვა თქვენი თხზულება და ის კი, რაც უნდა დაიბეჭდოს მესამე ტომში, უკვე დაბეჭდილები ურიან გაუყიდველი მალაზიებშიო.“ ეს ისე მართალია, როგორც ის, რომ თქვენგან დაბეჭდილი პირველი და მეორე ტომი ორმოცის მეტი არ გაყი-

დულა, რაიცა საამხანაგო ანგარიშიდანა ჩანს!.. მაგრამ მაინც ამით რა გნებავთ, რომ სთქვათ? ეს ხომ თქვენ არ შეგეგებათ? და ვალდებული იყავით, რომ მესამე ტომიც დაგებულათ? ამას გარდა თქვენ ხომ ბძანებთ, რომ სამი ტომის მეტი არ გამოვაო? თუ ეგ მართალია, მაშ დაბეჭდეთ მესამე ტომიც და მე სამივე ხელალებით თქვენთვის მომირთმევიო, ოღონდ კი მაგითი გათავდეს საქმე და ერთმანეთს გაუმორდეთ! რაც შეეხება იმას, რომ ვითომც მე თქვენთან მოყიდულის ჩემი ძველი ნაწერების სხვასთან ხელ ახლა გაყიდვა მდომებოდეს, ამაზე ლაპარაკი არ გეკადრებათ, რადგანაც თვით ჩვენი მიწერ-მოწერიდანა სჩანს, რომ ლაპარაკი იყო მხოლოთ ახალ ჩემ თხზულებაზე და არა ძველ ნაწერებზე! „რატომ შენი ახალი ნაწერი ჩვენ არ გამოგვიგზავნეო, რომ ბრძანებთ, ნუთუ დაგაიწყდათ, რომ მე მსურველი ვიყავი თქვენს ჟურნალში მემუშავნა? რამდენიმე ლექსი უსასყიდლოთაც მოგართეთ, მაგრამ როდესაც ახალი, ჯერ არსად დაბეჭდილი ღრამიტიული თხზულება მოგიტანეთ, ის უკანვე თავში მახალეთ: რედაქციამ დაიწუნა და ვერ დაგებულადეთო. რედაქციას ყოველთვის შეუძლია ამისი თქმა და მეც მაშ ყოველთვის მტყუანი გამოვალ. ეჰ რომელი ერთი მოგახსენოთ?!. უმჯობესია გაეჩუმდე, რადგანაც თქვენ მაინც თქვენსას არ დაიშლით და თქვენებურათვე ახსნით ყოლიფერს!.. ამას იქით ყოველივე საუბარი გაეწყვიტო თქვენთან და ჩემი სიმართლე და სიმტყუნე, თუ ცოცხალი ვიქენი, ვეძიო სამართლის წესით და, თუ არა და, მაშინ რაღა გაეწყობა, მეც ის დღე დამადგეს, რაც სხვებს დაადგა და ან მომავალში დაადგებათ, თუ მაგრე წაიყვანეთ საქმე.

აკაკი.

### მესამე წლების მადგაწენი

და  
 დღევანდელი ცხოვრება.  
 (თ. რ. ერისთავის იუბილეჲს გამო.)  
 I\*)



მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენ ცხოვრებაში ძირითადი ცვლილება მოხდა. საქართველომ <sup>1)</sup> უარყო თვით-არსებობა, ჩვენს

თავს ჩვენ ვერ მოგვევლითო და რუსეთს დაექვემდებარა. ასეთი ცვლილება უეჭველათ პოლიტიკური ცვლილებაა: ერის მართვა-გამგეობა შეიცვალა, ეროვნული მთავრობის ადგილი უცხო ტომმა დაიჭირა. რა ნაირათ უნდა ემოქმედა ამას ხალხზე? გაანძროა მისი გული? დაინახა, 'მეიგნო ის, რაც მოხდა? ამაზე ისტორია გადაჭრით გვეუბნება: არა, არ შეუგნიაო. მართალია აქა-იქ წინააღმდეგობა და არეულობაც მოხდა, მაგრამ ეს გამოიწვია ახალ მოხელეთა უგვანო საქციელმა და არა რაიმე ფართო პოლიტიკურ მოსაზრებამ. (იხ. „მომამბეში“ ბ-ნ ფრიანელის წერილები მთიულეთის შესახებ). ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ არეულობა ატყდა ჩვენი ქვეყნის

\*) იხ. კვლეი № 9.  
<sup>1)</sup> უნდა გიგულისხმეთ მადალი თავად-ახსნა-უწრობა დასაკვირვებელი, უკანადაც ქვეყნის გამტე-პატონი ის იყო.



ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ნაწილში—მთიულეთში. რა არის ამის მიზეზი? დღეს რაც უნდა ცვლილება მოხდეს პოლიტიკაში, ის მაშინვე ერის გულს მიწვდება. ჩვენ კი დეკარგეთ ის ძალა, რომელიც თავიდანვე გარს შემორტყმული გვქონდა და რის მეოხებით ისტორიულ გრივალში თავი გადავიჩინეთ. ამან ისევ ჩაიარა ვითომ არაფერი მომხდარიყო! ნუ თუ ამის ახსნა შეუძლებელია? ეს ხომ ისტორიის წინააღმდეგ არ მომხდარა, მაშასადამე ისტორიაში უნდა ჰქონდეს საფუძველი. ჩვენი აზრით აი ასეთი საფუძველია: პოლიტიკური ცვლილებით იოტის ოდენათ არ შეცვლილა ხალხის შინაგანი ეკონომიური, იურიდიული და გონებრივი მდგომარეობა. ერი დარჩა ისევე დანაწილებული, ერთი მეორისაგან დაშორებული და კარჩაკეტილი, მოყვრულ-ნათესაობაზე აშენებული ურთიერთობით და ეიწრო ადგილობრივი ინტერესებით ასულდგმულებული, მიმოსვლით, ადგილ-მიცემობით, მოქალაქობრიობით დაუძღვრებული. ასეთ ერს არ შეეძლო თავის თავი ეგრძნო ერთ პოლიტიკურ მთელათ, ჭირში და ღონისში გახუყრელათ. ახალი უცხო წყობილება აშენდა ძველებურ თავისებურ ცხოვრებაზე. ხალხისთვის რა საინტერესო იყო, თუ ვინ იქნებოდა ქვეყნის მმართველი, თუ კი მას არ შეაწუხებდნენ, ცოლშვილს არ დაუწოაკებდნენ, წენარ ჩვეულებრივ ცხოვრებას აცლიდნენ. ამიტომ პოლიტიკა და ცხოვრება ერთმანერთს ვერ მოხვდა, უკანასკნელს პირველი მეტხორცათ არ უგრძენია, რადგანაც მასთან მჭიდრო კავშირი არ ჰქონდა. ის ეროვნული აზრები, რომლის ქადაგება შემდეგ საჭირო შეიქმნა მაგ. სამშობლო ენა გიყვარდესო, მაშინ სრულიად უცნობი იყო. ამაში არ იყო მოთხოვნილება. ხალხი ქართული ენითაც იოლათ მიდიოდა, ამ მხრით მას არ აწუხებდნენ. 2) ამიტომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ პოეტებმა ეროვნულ ნიადაგზე ფეხი ვერ მოიმარეს. აქ შინაარსი ვერ იშოვეს. თუ ვინმე სამშობლო სვე-სედს ენება, ენება მხოლოდ საზოგადო ფრაზებით, წარსული უნდა გიყვარდესო, მარა რაში უნდა გამოიხატოს ეს, რა პრაქტიკული, დაუ-

ყოენებლივი ფორმა უნდა მიიღოს, ამას ვერ გვეუბნებიან და თქმაც შეუძლებელი არი. ცხოვრება თითქმის ერთ დონეზე იდგა, ახალი კითხვების დაბადება მაშინდელ ეიწრო კალაპოტში შეუძლებელი შეიქმნა.

ამ ნაირათ ქვეყნის ეკონომიურათ განუვითარებლობა საფუძვლათ დაედო პოლიტიკურ დაცემას და გონებრივ მისუსტებას.

ასე ნელ-ნელა სიარულით მოვედით მესამოცე წლამდე. ამ დროს რეფორმების ხანა დადგა. ბატონყმობის გაუქმება ერთი მხრით, და ახალი შკოლების და სასამართლოების დახსნა მეორე მხრით. ცხოვრებამ ორი უდიდესი კითხვა წამოაყენა: რა ნაირათ უნდა მივეგებოთ გლეხთა თავისუფლებას? რანაირათ უნდა ვისარგებლოთ ახალი სისტემის შკოლებით და სასამართლოებით? პირველ კითხვამ განხეთქილობა ჩამოავდო, საზოგადო აზრი დაიყო ორათ: ბატონყმობის მომხრე და ბატონყმობის მოწინააღმდეგე მიმართულება თავად-აზნაურული და გლეხ-კაცური. ამ ორ ელემენტთა შორის ატყდა სასტიკი ბრძოლა. პირველს მწერლობაში არ დაუტოვებია ვაგლენა, მას რათ უნდოდა მწერლობა, როცა მთელი სინამდვილე მისკენ იყო, ის აქ, სიზნელეში, მუშაობდა. მეორე კი სინათლეში გამოვიდა, ახალი ცხოვრებისთვის ახალი იარაღით აღიჭურვა, მწერლობა შეიქმნა მის სატრთიალო საგნათ. ამან მისცა დასაბამი დროს შესაფერ, პროგრესიულ მიმართულებას. მაგრამ ეს მართო ამით არ დაკმაყოფილებულა. რუსეთში საშკოლო და სასამართლო წესები გამოიცა მთელი იმპერიისათვის, რა საშუალებით შეიძლება ის საქართველოში შემოვიდეს, როგორ უნდა გამოიყენოს იგი განთავისუფლებულმა ხალხმა? პასუხი ცხადია, სამშობლო ნიადაგზე სამშობლო ენის საშუალებით. სამშობლო ენის დატვა მოთხოვა ცხოვრებამ.

ამ გვართ, სიყვარული გლეხ-კაცობის და სიყვარული სამშობლო ენის შეიქმნა იმ ღერძათ, რასაც უნდა გადაეტრიალებია ჩვენი ცხოვრება. ეს საცებით შეიგნეს მესამოცე წლების მოღვაწეებმა და ამ მხრით მიმართეს თავიანთი ძალ ღონე. მათ მოქმედებაში არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ვისაც ხალხისთვის გული შესტიოდა, მას უნდა ეზრუნა მის მოქალაქობრიობაზედაც. ეს კი შესაძლებელი შეიქმნებოდა ბატონყმობის ბორკილის დამსხვრევით და სწავლა-განათლების გავრცელებით. რაენაზე შესაძლებელია სწავლის მიღება თუ არ სამშობლო ენაზე? ორივე მხარე მჭიდროთ დაუკავშირდა ერთმანეთს. ხალხის უფლების დაცვა ნიშნავდა იმავე დროს მისი ენის დაცვას, მისი ენის დაცვა

2) ბ-ნ ფერონელი მოგვითხრობს ზემოთ დასასკელებულ წერილებში, რომ რუსულ ენაზე წარმოებულს სამართალს და მომხივან-მოხასყისეს გზა-კვადი აკუნაო. მაგრამ ეს წასაკვირვებია თვითოული, იშკიათი, მოკლეა იქნებოდა: სახივრები მაშინ ხომ სშიდრ არ იყო. ვიხს ბატონი სასამართლებდა. თბილისში აბ ვინ წავადოდა სამართლის სამიკებათ, ეს დღესაც არ არის ადვილი. ამიტომ ახალი სამართალი ხალხის ცხოვრებას ვერ შეანძრევდა, რთგონც ეს შემდეგ მოხდა.



ხალხის უფლების დაცვას. სამშობლოა სიყვარულმა მიიღო განსაზღვრული, პრაქტიკული ფორმა, ის ჰაერიდან დედა-მიწაზე ჩამოვიდა, გრძობამ ხორცი შეიქმნა, ტრახანობა მოქმედებით იქცა. სამშობლო ენა გიყვარდესო! აბა, უთხარი ეს მაგ. ფრანგს თუ მან მაშინვე სიცილი არ ასტეხოს, განა ამასაც ლაპარაკი უნდაო. მაგრამ თუ იმავე კითხვით ელზასელ ფრანგს მიმართავთ, ის გულდასმით მოისმენს, მართალს ამბობ, ამის ქადაგება ჩვენში საჭიროაო. რატომ ასე განსხვავდებიან ეს ორი მოძმენი ერთმანეთისაგან? იმიტომ რომ პირველს არაფერი ძალას არ ატანს ფრანგული ენა დაიფიქვო, მაშინ როდესაც მეორის გასაგებრმანებლათ გერმანიის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს. ისტორიულ წარსულში ენის მხრით ჩვენ დიდი გასაჭირი არ გვადა. აჭარ-ქობულეთელთ დღემდე მორტანეს ქართული ენა. ამ საუკუნეში კი სხვანაირ გარემოებაში ჩაედევით. მართალია, ომს აღარაფერი გვიშვრება, მაგრამ მაგიერში უომრათ, უიარალოთ, ტყბილი სიტყვებით გვიძვრებიან ოჯახში, შკოლაში, საზოგადოებაში, დაწესებულებაში, გვიჩხრევენ ეულს, სულს, ყველაფერს და რათ იხარჯვის ამდენი შრომა? ევების ქართველობამ ქართველობა უარჰყოსო! ეს მიდრეკილება თავიდანვე იყო, მხოლოთ თავიდანვე არ ყოფილა მისი ცხოვრებაში გასატარებელი პირობები. ეს გაჩნდა მესამოცე წლების შემდეგ, როცა ხალხი განთავისუფლდა და განვითარების გზას დაადგა.

აი, ამ მოძრაობის ნაყოფია ის მწერლობა, რომელიც ჩვენს გონებრივ ზრდას საფუძვლათ დაედგა და რითაც დღესაც ვიკვებებით. მწერლობა ეხება ორივე კითხვას: პოლიტიკურ-სოციალურს და ეროვნულს. ქართველის გავეროპილება და ქართველის გაქართველება—აი დედა-ბოძი ამ მიმართულების. ამ საძირკველზე შენდება კველი. პირველი წყება ამოშენდა მესამოცე წლებში, ხოლო მთლათ აშენება ჩვენი წარმატებისაგან არის დამოკიდებული. მესამო-

ცე წლების მოღვაწეები მარტო ლიტერატურით არ დაკმაყოფილდნენ. ისინი აარსებენ სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებებს, როგორც იარალოთ, საქართველოს წინ-წაწევისათვის, ადგენენ სახელმძღვანელოებს როგორც ერთთ ერთი სახსარი დედა-ენაზე ბავშვების აღზრდისა და სხ. ერთი სიტყვით როგორც ცხოვრებით ისე გონებით ევროპის ფერხულში ჩაევებით. ხალხმა იწყო თავისი კარჩაკეტილ მდგომარეობიდან გამოსვლა. ცხოვრება დაინძრა და აი აქ ხდება ის, რაც ნახევარი საუკუნის წინ ევრო მოხდა: ცხოვრება და პოლიტიკა, ხალხი და მართვა-გამგეობა ერთმანეთს, შეხვდნენ და ამით შესაძლებელი გახდა საქართველოს სვე-ბედის შეგნება. ეს მხოლოთ დასაწყისია, მთელი ჩვენი განვითარება იმავე დროს მოასწავებს ამ შეგნების განვითარებას და გავრცელებას. მასადაამე, შეგნება ისტორიული განვითარების ნაყოფია, გონებრივი ცვლილება ეკონომიური ცვლილების შედეგია. ესენი მუდამ ერთთ მოდიან. ამ ახალი ცხოვრების დაწყება და მეთაურობა წილათ ხედა მესამოცე წლების მოღვაწეთ. ის გარემოება რომ მათ ნამოქმედარს დღეს ვაფასებთ, ამტკიცებს იმას, რომ მაშინ არ იყო დაფასებული, მაშინდელ შეცდომას დღეს ვასწორებთ და იმის მაგიერ რომ წინ ფეხი გადავდგათ, თანამედროვე ცხოვრების შესაფერი იდეები შევიმუშაოთ, ვდგევართ ერთ ალაგას, ეცხოვრობთ მხოლოთ წარსულის მოგონებით, ეკმაყოფილდებით წასული მწერლობით.

ვიმეორებ: როგორც კი ხალხი ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლდა და დაადგა მოქალაქობრივ გზას, შესაძლებელი გახდა პოლიტიკური და ეროვნული კითხვების წამოყენება, მათი გავრცელება და შეგნება. მესამოცე წლების მოღვაწენი გამოვიდნენ ორივე მიმდინარეობის მომხრეთ და მემოიარალოთ.

ნ. ჟორდანიას.

(შემდეგი იქნება)

მეტეი ღონე არ არი!

ეტიული.

(კუძღნ• გნ. ანხა პეკრატონ — ღაკითიშვილს).

(დასასრული \*)



მადლობ, ღმერთო, რომ ამაცილე განსაცდელი, თვალი ამიხილე დაბრმავებულს და გამაყანი!.. დაუმატა ძალ-დატანებით ვარომ. ამ დროს სხვა ქალებიც დაეწიენ, ვარომ მათ არა

უთხრა-რა. დანიშნულ ოჯახში მხიარულება იყო, ისონიც იქ გაჩნდა, მივიდა ვაროსთან და ცდილობდა ჩეულებრივათ მომეტებულ ტრფიალებას. ვარო კი გამოუთქმელოთ იტანჯებოდა. ამას უყვარდა იასონ, რომელიც, თუმცა სხვას ეკუთვნოდა სულით, გულით, მაგრამ ამასაც თვალებს უბამდა, ატყუებდა. ერთი მხრით გატაცებული წმინდა გრძობა, რომელიც ყოველთვის წმინდანათ დაუსახანეს სათაყვანოს; მეორე მხრით თვალით ნახული სისაძაგლე ერთიმეორეს გამკლავებოდა, არ იცოდა ვარომ, რომლის მხარე დაეჭირა, რომელი დაემარცხებია, დაეთრგუნა. ან თვითონ იასონისთვის შეგმწნევიანება თუ

\*) ს. „ქველ“ № 9.



არა?!. ამჯობინა ფარულათ, შეუმცნეველათ შორს გასდგომოდა. თუმცა ამისათვის ბევრი ბრძოლა დასჭირდა, მაგრამ მაინც შეასრულა თავისი გარდაწყვეტილება. იასონს ძალიან გულით არ აწუხებდა ქალის ასეთი ცვლილება, თუმცა უკვირდა, თითქო თავ-მოყვარეობაც ებღალღებოდა

— ჩემე ხვალ მივდივართ სოფელში. —უთხრა ეარომ, როცა უკანასკნელათ შეხედენ ერთმანეთს.

— იმედია მოკლე ხნით?..

— არა სამუდამოთ.

— სამუდამოთ?.. მერე როგორ ვიცოცხლო?.. როგორ გავძლო უჩემ სალოცავით? ძალ-დატანებული შემფოთებით ჰკითხა იასონმა. ქალმა წუთის სიძულელი იგრძნო ამ ფილი მატყუარასადმი.

— რა გავწყობა, კნიაზო, უნდა მოიჭიროთ, მოითმინოთ... მოიწვიეთ მკურნალი და ნერვების დამამშვიდებელი წამლები მალ-მალ სვით... იმედია, ჰაერიც ხელს მოგიმართავთ და აიტანთ მძიმე წუთებს... იმ დროს სხვა სამლოცველოსაც ააშენებთ თქვენს გულში, თუ ჯერ კიდევაც არ აგივიათ.

იასონმა თვალები დააქვიტა, ფერმა გადაჰკრა სახეზე, დაკვირვებით მიაჩერდა ქალს, რომელსაც სიბრაზე მორეოდა, ქალს უნდოდა ეთქვა პირ-და-პირ, რომ მოშორებოდა თავიდან უსინიღისო, საძაგელი, მაგრამ საჩქაროთ მოტრიალდა და წაიდა. მას დღეს შემდეგ ეარო კარგა ხანს ჩაიკეტა სოფელში, ყველა იასონისთანავე ეგონა, ზიზღსა და სიძულელისა გრძნობდა მათ მიმართ. თათლო და სვიმონი კი სწუხდენ, რომ ეაროს უგვიანდებოდა გათხოვება.

— არა, არ შემძლიან გათხოვება, სანამ ასეთ სიძულელია ეგრძნობ კაცების მიმართ!.. არა, იტყობდა ეარო. როგორც იყო გულიდან ამოიღო იასონი. ისევ მიეცა უზრუნველ დროს გატარებას. ხანდისხან გაიხსენებდა წიგნების კითხვას, რაიმე ხელსაქმეს, მაგრამ, რაკი ჩვეულებათ გარდაექცა მუდამ უსაქმურათ ყოფნა და სიარული ამის გამო დიღხანს გულს ევლარ უდებდა, მალე ისევ მოავდებდა გვერდზე და თვის-თვეობამდე აღარ გაიხსენებდა. რას ელოდა ეარო?.. თვითონაც არ იცოდა. თათლოს და სვიმონის შეძლება შეირყა, ხელიდან გამოეცალათ და უკანასკნელ სულთ-მობრძაე ოჯახს მაინც ჯაჯახანა ადგა. ძალას ატანდენ, თხოვდენ შეუძლებელს, რათა უკან არ ჩამორჩენილენ სხვებსა. მაგრამ ავგრ გარდაიცვალა სვიმონი, შემდეგ მას თან მიჰყვა თათლოც. დარჩა ეარო ბიძა-ძალუასა ანაბარა... თუმცა დიდი მწუხარე იყო მშობლებზე, დრომ მაინც თავისი გატანა, მოთხოვა ბრძოლა არსებობისათვის. გარდა დაობლებისა შეძლებაც აღარა დარჩა-რა, რადგან მო-

ვალეებსაც პირის ქართ არ გაუხდათ, ეარო სამადლოთ წაუყვანა მამის ძმამ თავისთან. ეაროს ცხოვრება ძალიან შეცვალა. პირველში უფროხილდებოდენ, თითქო ეცოდებოდათ, მაგრამ შემდეგში, როდესაც მოიარა, ოჯახში სახლში მყოფებმა თვალყური შეაჩვიეს, გაიცნეს, მოიწყინეს, აღარაფრათ ჩაადგეს, მეტათაც სცნეს. თითო თვეობით წავიდოდენ ძალუა-ბიძაშვილები, ორი ვასათხოვარი ქალით. ეაროს მიუგდებდენ სახლს, რათა ყური ეგლო, ყველას ფეხდაფეხ მიჰყოლოდა. შრომას უჩვევი ქალი, გამოუცდელი ეერ ურიგდებოდა ახალ უცხო მოვალეობას, თუმცა თვითონაც გულითა სურდა აესრულებია დაეალებული, მაგრამ გაკეთების მაგიერ უფრო ახდენდა. ძალუას პირველათვე არ უნდოდა ეაროს თავის ოჯახში შემოყვანა, რადგან ეარო მის ორიე ქალებს სახით სჯობდა, მაგრამ ქრმის სურვილს წინ ევლარ აღუდგა.

— გენაცვა, კი არ იკლებს არაფერსა-და!.. როგორც ჩემ ნატოსა და კატინას ეაცმევე, ესეც იმას ნებულობს, მერე რა გულითა-და!.. ღარიბი, მშვიერი, ჩემე რა არ გაეჩნოდით, ქუჩა-ქუჩა უნდა ეწანწალა. ეარო ისმენდა ამისთანა საყვედურებს ძალუასგან, ჩუმათ ც'ვლებით იმდულდებოდა. პირველში ბიძა არ ეთანხმებოდა ცოლს, მერე კი, როდესაც დარწმუნა, თუ ეარო რა ძნელი საკისრებელი იყო, რაკი არ თხოვდებოდა, ამანაც გული ააყარა ძმისწულზე, მუდამ უსიამოვნო საყვედურის აბებს აყლავებდა უმწეო დაჩაგრულს ქალს. ეს თანდათან შეავიწროვეს, რომ ეაროს სურვილი გაღვიძებოდა ან გათხოვებისა, ან სხვაგან გადასვლისა. ბოლოს პირათაც გამოუცხადეს, რომ თუ შეირთავს სწეულ, ბებერ გენერალს ხომ კარგი, თუ არა და საცა ნებედეს წაბრძანდეს. ძალუამ სასტიკათ უბრძანა მოსამსახურეებს ყური მოეყრუათ ხოლმე ეაროსთინ, როცა ის დასაქმებდა. ზამთარში ცეცხლი დაუძვირეს, დიდ სანათის მაგიერათ დაუდგეს ოდნე ბეუტაეი ძველი პაწია ლამპარი. ეარო თავში იცემდა, ფიქრობდა, მთელ ღამეებს თეთრის უვალთ ათენებდა, რომ აღმოეჩინა გარემოების შეცვლილი საშუალება. მასწავლებლათ წასვლას, მკერვლათ ყოფნას თანა სდევდენ ჩრდილსავეთ წინათ გამოვლილი დიდებული დღეები და თავ-მოყვარეობა თავს არ ავიწყებებდა. ისევ არჩევდა ჯერ-ჯერობით ბიძა-ძალუას ხელში ტანჯვას.

III

ეარო კარგა ფიქრს შემდეგ წამოადგა... მამ ნუ თუ დალუპული ვარ?.. შესძახა მან მწარეთ. ვალუარჯებული ხელები შეიმალა კაბის კალთაში.



— სიკვდილი!.. სიკვდილი სირცხვილი არ არი... ის შეწყვეტს ამ ტანჯვას, თან წაიღებს ასეთ დამცირება—გაწილებას... „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ ბევრჯერ გაუგონია ვაროს. თუმცა ეს სიკვდილი არ იქნება სახელოვანი, მაინც არ შემირცხვენს, არც წარსულს და არც აწმყოს. ვარო მივიდა სარკმელთან. ნამქერი ისევ წინანდელზე მეტათ ურევდა. ჰაერში თეთრი სივრცის მეტი აღარა მოსჩანდა-რა.

— შენა ხარ ერთათ ერთი ღონე, რომელიც ამაცილებ ხალხის თვალსა და ყურს... დაილაპარაკე ვარომ ფიქრიანათ, თვალ-წინ წამოიყენა იასონ და დარიკო... სახლი დაბალი იყო, სარკმელს კიდევაც მობჯენოდა თოვლის ზეინი—სპეტაკი თოვლი გაირღვევს გულს, მსურველეთ მიიკრავს, შეახვევს თეთრ ფაფუკ კალთებში, გააყრუებს, დააფიქვებს ყველაფერს. ვაროს თვალებმა ამ დროს გააჩივს პატარა ქაზიდან ამომავალი კვამლი.

— ახლა იქ ბედნიერი არიან, არ აოცებთ სიღარიბე, შეჭირვება, რადგან თავის ღლეში მასში გამოკრწიან, შრომობენ და ისე ეწევიან თავიანთ ცხოვრების უღელსა. ზაფხულში მოქანცულნი დღეს ისვენებენ, კიდევაც ახალისებთ ეს ფიფქი თოვლი, არა ნატრობენ სიკვდილს. შეყუჟულან უბრალოთ გატიხრულ ოთახში, თუმცა აქეთ-იქით დარაბებში შეზუზუნებთ ქარი, ყურსაც არ უგდებენ, დაუღვიათ დიდი სათარი და მთელი ჯალაბი შემოსხდომია და გიზგიზებულ ცეცხლსა... თედო გაშურებით ჩირკნის ურმის იარაღს, სვიმონა კი სხვა-და-სხვა ზღაპრებით შეაკეცევს მუნ მყოფთ, რომელიც პირში მისჩერებთან. რა ბედნიერი არიან!.. მერე რა მიზეზია? ის რომ, ცხოვრების მიზანი აქეთ, მოვალეობას ემსახურებთან, ზრუნავენ ოჯახსა და ცოლ-შვილზე.

— ოხ, რა შემცდარი იყო დედა, როცა ჩამძახოდა: რაა საერთო შენსა და გაჭირებულ ღარიბს შორისო?.. ის სხვა ჰაერზე დაბადებულა, აღზრდილაო?.. ოხ, მშობლებო! წარმოთქვა ცრემლებ მორეულმა ვარომ... რა რიგათ უმნიშვნელოთ გაატარა ვარომ ცხოვრება!.. განა ბევრმა რა იცოდა, თუ რა იყო კარგი და ავი? შემყენებელი არაიენ გაუჩნდა, გზის მაჩვენებელი... ვაროს გაგვიებით უყვარდა დედა თაფლო, რომელიც იმისი სარკე იყო... აკი დედ-მამასაც უყვარდათ?.. უყვარდათ და ასეთი ტანჯვა მიაცენეს?.. მერე მათ რა აცოდენ, თუ შემდეგში რა იქნებოდა?.. რატომ არ შეაჩივოს ვარო შრომას!..

თუმცა სწავლა მიიღო. მაინც უფარგისია, გამოუყენებელი!.. ვარო ჭკვიანურათ მოიქცა, რომ არ გათხოვდა... რისთვის გააჩინოს თავისთანავე უსარგებლო მაზარალებელი უღონო ბუზია!.. რა მაღლობას შეუთვლის ქვეყანა თაფლოსა და სვიმონს ვაროს ასეთი აღზრდისათვის? ამის ბუნების დამახინჯებისთვის?

— ღმერთო, მაპატიე ჩემი შეცოდება!.. გულთამხილაეო! ხომ იცი, რომ მე არა ვარ დამნაშავე?.. მიიღე ცოდვილი სული, შესწყვიტე ჩემი ასეთი წამება. ქალმა გამოალო სარკმელი, ქარმა ოთახში ნამქერი შემოიტანა. ლამპარი ჩააქრო, ვაროს სიცივემ უფრო მწვავეთ დაუარა სხეულში.

— არა, მეტი ღონე არ არი!.. დაიწორჩულა მან გალურჯებული ტუჩებით, თან ანჯამებს ხელი შეახო, მოეკიდა, ნელ-ნელა დაეშვა ძირს. ვაროს ფეხებში რბილათ მოხვდა თოვლი, იამა თითქო აქ უფრო თბილოდა. წუთს ნამქერმა შეუთეთრა ტანი-სამოსი, გაღუშალა თეთრ საფლავს გული, შიგ ჩაესვენა. პირველში სული შეუგუბდა, წამოყვლყვლავდა, თითქო ეს არის ველარ იმეტებს თავს სასიკვდილოთ, კვლავ მოუწინა ისევ თავის ოთახში ყოფნა, მაგრამ, რა მოაგონდა ხელინდელი დღე, ბიძა-ძალუა მოღუშულის შუბლით, მკაცრათ მბრძანებელნი, კვლავ ისევ მოხუჭა თვალები, ძირს დაიწია...

— მეტი ღონე არ არი!.. დაიწორჩულა სუსტათ, თავი მისცა უწყალო ხვედრსა. დიდი ხანი აღარ გამოსულა გათენებამდის. მეორე დღეს დიდ ძებნას შემდეგ გონება დაკარგული, გალურჯებული ვარო ძლივს ამოიყვანეს თოვლიდან, ბიძა-ძალუას სინიღისი გაღვიძებოდათ, დიდი მწუხარებით, მეცადინეობით ცდილობდენ ქალის გამობრუნებას. მსწრაფლ კაცი აფრინეს ექიმზედაც. ვარო გამობრუნდა, გაახილა თვალი და, როდესაც დაინახა თავისი თავი ბიძა-ძალუას ოთახში, მის პირ-და-პირ დიდი ცეცხლი ეგზნო, ძალუაც ჩალაპარაკობდა ალერსით. შეჰკრთა.

— ნუ თუ საშველი არ არის! ამოიკნაეღა მან. რამდენმე საათს შემდეგ იკრძნო მწვავე სიცხე, გონება დაჰკარგა. ექიმმა აღმოაჩინა ფილტვების ანთება, რომელმაც სამი დღის უკან თოვლზე მომეტებულათ დაამშვიდა ვარო, საუკუნოთ მოახვენა.

ანასტ. კრისტაყი.



მგზავრის შენიშვნები.

(კასეთისაკენ \*).



ილიქანში ჩემს გარდა კიდევ ისხდნენ: ერთი ცოტათ ქალარა შერთული, მაგრამ მხნე და წამოსადეგი აგებულობის მღვდელი და ორიც ჩვენში აღზე-მომცემობის წარმომადგენელი, ძველი ჰაიასტანის გამდიდრებული შეილა. გზაში აღარაინ მოგვმატებია და საკმაოთ თავისუფლათ ვისხედით. იმ ეპქრებს თბილისიდან იმ დღის „მშაკი“ და „НОВОЕ ОБОЗНЕНИЕ“ წამოვღოთ და კითხულობდენ. მე კიდევ ცაღე ახლათ გამოსული „მოამბის“ გადათვლიერება, მაგრამ დილიქანის საშინელი ქანაობა და სათვალეებიც მიშლიდა კითხვას, და თავი დავანებე, თუმცა ჩენი ახალგაზდა ნიჭიერი ბელეტრისტის, შ. არაგვისპირელის ეტიუდი: „ღმერთო, რა დაგიშავე!“, სადაც ჭაბუკი მწირის საიდუმლო გრძნობა და სულიერი ტანჯვა დიდი ლირიზმითა და სიღრმით გამოუხატაეს, დავათავე კი.

დღით, ცოტა არ იყოს, ზამთრის სუსხმა გვაგრძნობია თავისი ძალა. თბილისის მიდამო უხე-ტყეო, ტიტველა სერები და ცივ-გომბორას მთა თოვლს დაეფარა, მაგრამ სამგზავროთ კარგი ამინდი დაგვიდგა მაინც: მზე უფრო თან-და-თან გაბრწყინდა და სითბო დაიწყო. მე გვეცქეროდი ტიტველა მთა-გორაკებს და მინდვრებს, რომელიც გაშლილიყო ჩემი თვალის წინ და რომელზედაც მიიმართება სიღნაღის და თუქურმიშისაკენ მიმავალი შარა-გზა. მიდამო არე-მარე, ჩენი ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით, არ დაუსაჩუქრებია მუნებას უხვი წყალობით. ხე-ტყისა, სხვა რამ მცენარეულობისა და ჩრდილოების ნატამალიც გზაში თითქმის არ მოიძებნება. მხოლოთ ერთ ადგილს, მდინარე იორს ცოტათ გაცდებით თუ არა, არის ატეხილი წშირი მუხნარი, სადაც მრავალ-გვარი ნადირი თურმე ბუღობს. გზაში შესანიშნავი ადგილი მხოლოთ ორია. ერთი სამგორას მინდარი, რომლის ბოლოს, მდ. იორის პირზე, მდებარეობს სოფ. სართი-ჭალა, სადაც სახ-

ლობენ მშრომელი და ბეჯითი ნემენცები და ჩვენი ქართველებიც. ამათი ცხოვრება, თუ არ ვცდები, ამ სამი წლის წინათ „ივერიაში“ დაწერილებით იყო აწერილი. მეორე ადგილი კი თვითონ იერის ხეობაა, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანს სოფლები თავისი ვენახებითა და ხეხილებით.

საუცხოეო გასახედ-გამოსახედი ადგილია აზამბურის სერიდან, სადაც ცხოვრებენ მალაკნები. კაცის თვალს იტაცებს შორს გადაშლილი შეენიერი არე-მარე: სამხრეთით განუსაზღვრელი სივრცე ჰორიზონტისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საკმაოთ მაღალი მთები, რომელნიც ლაყვარდ ცაში აყუდებულან. თვით აქაური ნიადაგი მიწისა შავია, არ არის მწირი და პურისა, ქერისა და ბოსტან-ბაღების მოსავალი დიდი იცის და კარგიც. ქართველები, ნემენცები, მალაკნები და თათრები იჯარით იღებენ ხოლმე აქაურ მიწა-წყალს და ამუშავებენ. აქა-იქ ფერდო ადგილები, სერების კალთები და მინდვრებიც, სართი-ჭალის ახლოს, არის დანართლ-დათესილი, რომელიც ირწყვის თხრი-ებში საგანგებოთ გაყვანილი იერის წყლითა. ამ წყალმა ალაზნანზე უკეთესი და გემრიელი თევზიც იცის. აქვეა ხიდთან გამართული წისქვილები და ღუქნები, რომელთა მეპატრონენი ამ გარემოებით საკვებლობენ. საზოგადოთ, იორი ალაზნანსავით ყოვლად უსარგებლო და გამოუყენებელი მდინერე არ არის. იორის წმინდა, ანკარა წყალს ჩქარი მიმდინარეობა აქვს და ალაზნანით ნელი და დაგუბებული არ არის. მდ. იორის მიდამოები და ხეობა მდიდარია პურით, ქერით, კომბოსტოთი, ჭარხლით, საზამთრო-ნესვით და სხვა ბოსტან-ბაღეულობით, რომელსაც გვარიანი ბაზარი აქვს თბილისში და სიღნაში.

— ვის ეკუთვნის ამდენი მიწა-წყალი, მამაო?—ზრდილობიანათ ერთი-მეორესთან გამოცნობას შემდეგ დავეკითხე მოძღვარს.

— მრავლის უმრავლესი სახელმწიფოა, მერე ნემენცების, მალაკნების, სომხების, მცირე ნაწილი კი ქართველებს ეკუთვნის.

— დიდი მოსავალი უნდა იცოდეს ამ მხარემ...

— დიანხ, პურისა და ქერის მრავალი, მართლაც, დიდი იცის, როგორც მაგალითათ წელს იყო. მაგრამ ღვინის მოსავალში, ვერც თვისებითა და

\*) ის. „კვლედი“ № 9.



ვერც რაოდენობით, ეს ქვეყანა წინა-მხარს \*) ვერ შეედრება. სამწუხაროთ, წელს წინა-მხარსაც უმტყუნა ბედმა. ლენის მოსავალი ისეთი მცირე იყო, რომ, ვისაც წინათ ათი საპალნე (კახეთში საპალნე — 32 ჩაფა — 48 ევლა) მოდიოდა, იმან, არ დაიჯერებთ, ერთი საპალნე ძლიერ-ლა დაწურა. თან ლენოც საძაგელი თვისებისა დადგა. მთელ ენახებს მოედრა რალაც კირი, ვგონებ, „მილდიუს“ რომ ეძახიან, ის უნდა იყოს და უდროოთ გაუხმო და სულ ერთიანთ გააყრეინა ფოთოლი.

— მაგ ფოთოლის გაციენას კიდევ ის მოჰყეება, რომ ყურძენი აღარ მწიფდება, მზისაგან იწვის და ლენოც საშინელი უგემური და მყავე დგება. ობი (მილდიუ) თუ მოგრია ენახს, არა თუ ყურძნის მარცვლები, მთელი მტენებიც გაციევა ვაზსა და ზოგჯერ მთელი ენახის მოსავალსაც იმსხვერპლებს. ამას გარდა, ობი თითონ ვაზსაც უსპობს სიცოცხლეს იმით, რომ რქას (ლირწი) აღარ ზრდის, ჩაგრავს, ფოთოლს აღრე უყუთლებს, მტენანს ისერიმით გადაუტყვეს და შემდეგ თან-და-თან ხმობასაც დაიწყებს. ეიღრე კახეთს ფილოქსერა არ სწევია, კახელებმა უნდა მედგრათ ებრძოლონ მილდიუს და მიუცილებლათ ენახებს უნდა უწამლონ...

— ეგ-ლა გეკლდა! კახეთში ზედი-ზედ ამ სამი წლის განმავლობაში ჰურის საშინელი მოუსაველობა იყო და ახლა ამ უბედურებას ზედ დაერთო კიდევ წლევეანდელი ლენის მოუსაველობაც და, თქვენი მტერია, ხალხს გაუტირდეს. ხალხის გაჭირება კიდევ — განაგრძო ჩემმა თანამგზავრმა — დიდი დღესასწაულია და ღონინი თითო-ორილა შეძლებულთა, ჩარჩთა და წურბელათათვის, რომლებითაც, ყველაზე უფრო მთელს საქართველოში, წინათაც შეწუხებული იყო სიღნაბის მაზრა და ახლა ხომ სულ უარესობაში ჩაეარდება. ხალხის დიდი გაჭირება შეძლებულს, მუქთს თუ არა, იაფ მუშა ხელს გაუჩენს, ჩარჩსა და წურბელას ზედ კარზე მიაცენებს გლენსა, რომელმაც დიდი ხეწნით, მუდარებით, დამცირებით

\*) იგრის სეობას, ანუ ძველებურ გარეთ კასეთს ექსიან უკანა მხარს, სოლო აღაზნის სეობას, ანუ „საკუთრივ შიგნით კასეთს — წინა-მხარს, რომელსაც მდ. აღაზანი ჰქოფს: გაღმა (ეგარლისსკენ) და გამოღმა მხარით.

და ღრეჯათ, როგორმე მამასისხლათ, დიდი სარგებლის გამეტებით, მოინაცულოს ხელი.

— მართლაც, გამიგონია და გადაჭრითაც ამბობენ, რომ სიღნაღელებს, რომელნიც ჩარჩობითა და წურბელაობით გამდიდრებულან, თათქმის ერთი მესამედი მაზრა დასაკუთრებული აქეთო და მეორე მესამედიც კიდევ სესხით დამონებულიო.

— არა, ეგ კი, სწორეთ მოვასენოთ, მეტის-მეტა, მაგრამ ნამდიღზე, ცოტათ დაახლოვებით, სწორი განლაეთ და, აი, ჩვენც ამიტომ ეწვინალმდეგებით ჩარჩებსა და წურბელებს, რომელთაც სულ ერთიანთ აიკლეს ჩენი ქვეყანა.

სომელები.

(დასასრული იქნება)

წყდაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

პირველ მარტს ამოუვიდა მოგება მეორესა შინაო სესხის ბილეთებისა.

სურია.	ბილ.	მოგება	სურია.	ბილ.	მოგება
1257	34	200000	9048	50	1000
10446	49	75000	18078	10	1000
10658	21	40000	7392	36	1000
19387	46	25000	19449	26	1000
6140	30	10000	18809	16	1000
19456	42	10000	8464	92	1000
130	44	10000	18149	44	1000
10049	7	8000	19822	11	1000
8254	44	8000	4218	23	1000
7858	26	8000	6909	14	1000
11596	47	8000	6794	18	1000
13362	23	8000	8284	18	1000
18190	27	5000	5919	16	1000
13773	4	5000	18216	50	1000
17491	23	5000	19704	42	1000
1283	5	5000	1652	9	1000
17511	44	5000	8907	23	1000
19910	17	5000	5513	12	1000
16879	20	5000	13439	27	1000
9183	10	5000	10452	27	1000

აკტ.